

გეორგები ქონებაჩამორთმეულის სახლში პაპუაშვილი

პერიოდული გამოცემა №2

სამართლიანობის აღდგენისთვის სამართველოში ისევ ბრჩიან!

2017 წლის 31 იანვარს, თბილისის
სააპელაციო სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
მთავრობის სახით, საქართველოს
ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების
სამინისტროსთან და საქართველოს
საკონსტიტუციო სასამართლოს
თავმჯდომარე 2007-2016 წლებში, გიორგი
პაპუაშვილთან მოქალაქე როლანდ
ბლადაძის ჩამორთმეულ, სადავო
ქონებაზე დამასრულებელ სხდომას
გამართავს.

მოქალაქე როლანდ ბლადაძის ოჯახი 2004
წლიდან ამ დრომდე, უშედეგოდ ცდილობს
დაიბრუნოს ერთდერთი ჩამორთმეული
ქონება ბათუმში, რომელიც მიხეილ
სააკაშვილმა სიმბოლურ ფასად - 1000
ლარად საჩუქრად გადასცა გიორგი
პაპუაშვილს.

ამ ფოტოზე როლანდ ბლადაძის მეუღლე,
მარინა ესელიძე თბილისის საქალაქო
სასამართლოს უკანონო გადაწყვეტილებას
აპროტესტებს. ოჯახმა სამართლიანობის
აღდგენას 2012 წლის 1 ოქტომბრის
მთავრობის პირობებშიც ვერ მიაღწია.
კანონის არსიდან, როლანდ ბლადაძეს
ჩამორთმეული ქონება უნდა
დაუბრუნდეს, თუმცა როლანდ ბლადაძე
დღეს კვლავ დაზარალებულია.

ადამიანის უფლებების წინააღმდეგ
მიმართული გადაწყვეტილებები
სასამართლოშიც და საქართველოს
ეკონომიკის სამინისტროშიც გრძელდება.

როდემდე, ბატონებო?



ღირსება
თავისუფლება
თანასწორობა



ახალგაზრდა ადვოკატები
YOUNG BARRISTERS

DIGNITY
LIBERTY
EQUALITY

როლანდ ბლადაძის მიმართვა საზოგადოებას



2004 წლიდან უთანასწორო და უსამართლო ბრძოლაში აღმოვჩნდი. დღემდე ღირსების აღდგენის და საქართველოში დაბრუნების სურვილი მანუხებს. ქართველი ადამიანისთვის ოჯახი, შვილები, საკუთარი სახლი და მშობლიური გარემო, განსაკუთრებულ ღირებულებებთანაა დაკავშირებული. ჩემი სამშობლო - საქართველოა, მინდა დავბრუნდე და ოჯახთან ერთად, სულ თავიდან დაიწყო ცხოვრება. სამწუხაროდ, საქარ-

ველოში საკუთარი სახლი არ გამაჩნია. მე ვერ შევძელი დარღვეულ ქონებრივ უფლებებში აღდგენა. ჩემი ოჯახი დღემდე ელოდება სამართლიანობას და სასამართლოს კანონიერ გადაწყვეტილებას. როგორც ყველას, მეც მქონდა იმედი, რომ ხელისუფლება ყველაფერს ილენებდა ჩამორთმეული სახლის დასაბრუნებლად, გიორგი პაპუაშვილს კი გადასცემდნენ ალტერნატიულ საცხოვრებელ სახლს. დანაშაული, რომლის

გამოც ქონება ჩამომართვეს, 2013 წლის პროკურატურის დადგენილებით, დადასტურდა, რომ არ ჩამიდენია. ამ ფაქტის დამტკიცებას თითქმის 10 წელი დასჭირდა, არადა ახალ ვითარებაში, სიმართლის უნდა ყოფილიყო, ჩემი საცხოვრებელი სახლი დამბრუნებოდა. დღემდე ჩემი საზოგადოებრივი სტატუსი ქონებაჩამორთმეულია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 5 აგვისტოს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით, ჩემს ოჯახს კიდევ ერთხელ მიაყენეს შეურაცხყოფა, სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება არავითარ ლოგიკაში და რეალობაში არ ჯდება. მოსამართლემ გადაწყვეტილება მიიღო პოლიტიკური ზენოლის შედეგად. მოსამართლემ შეურაცხყოფა მიყენა ჩემს კონსტიტუციურ უფლებას, დავბრუნებულიყავი წართმეულ სახლში. „ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში დანიშნული მოსამართლის მხრიდან ეს გადაწყვეტილება მიუთითებს, რომ სასამართლოს სისტემას ისევ პოლიტიკოსები აკონტროლებენ. ჩვენ ვერ გავიგეთ, რომელი მტკიცებულება არ იყო საკმარისი კანონიერი გადაწყვეტილების მისაღებად. მოსამართლემ თქვა, რომ სარჩელს არ აკმაყოფილებდა, გვქონდა გასაჩივრების უფლება და ამის შემდეგ დარბაზიდან გავიდა. დარბაზში არ იმყოფებოდნენ არც გიორგი პაპუაშვილის და არც ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენლები. ეს არის კიდევ ერთი ფაქტი იმისათვის, რომ როგორც გიორგი

პაპუაშვილმა, ასევე სახელმწიფო მინისტრი იცოდა, თუ რა გადაწყვეტილებას გამოიტანდა სასამართლო. ჩვენ ვითხოვდით სახელმწიფოსა და პაპუაშვილს შორის დადებული 2007 წლის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობას, სწორედ ამ ხელშეკრულების საფუძველზე პაპუაშვილმა ქრთამის სახით - 1000 ლარად მიიღო ჩემთვის ჩამორთმეული ქონება. ასევე მოვითხოვდით პაპუაშვილის არაკეთილსინდისიერ შემძენად გამოცხადებას, სასამართლოში წარვადგინეთ ბევრი მტკიცებულება, რომელიც აღნიშნავდა, რომ პაპუაშვილმა ქონების შეძენის დროს იცოდა, რომ ეს სახლი მეკუთვნოდა მე და უკანონოდ იყო ჩამორთმეული. საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ ქონების შეძენის დროს პაპუაშვილი იუსტიციის მინისტრი იყო, ხოლო მისმა საჯარო რეესტრმა ქონების ჩამორთმევის ფაქტი დაადასტურა.

2004 წელს ქონება უკანონოდ და დაუსაბუთებლად ჩათვალეს და ჩამომართვეს. ბინა 1999 წელს შევიძინე და 2000 წელს ნოტარიულად დავამოწმე. სახელმწიფომ მაშინ ჩემი და ჩემი ოჯახის, არასრულწლოვანი შვილების უფლებები ფეხქვეშ გათელა. იძულებული გავხდი პოლიტიკური დენის გამო სამშობლო დამეტოვებინა, მაგრამ ერთი წუთითაც, არც ერთ ეტაპზე, დავა არ შეწყვეტილა. როდესაც ხელისუფლება შეიცვალა, მივმართე პროკურატურას, პროკურატურამ კი 2013 წელს უდანაშაულოდ მცნო. დანაშაული, რომელსაც პოლიტიკური ნიშნით

მიხეილ სააკაშვილის პროკურატურა მედავებოდა, ახალი ხელისუფლების პირობებში დამტკიცდა, რომ არასოდეს ჩამიდენია. მე მქონდა იმედი, რომ ქართული სახელმწიფო, ეკონომიკის სამინისტროსა და სასამართლოს სახით, შეძლებდა წართმეული საკუთრება დაბრუნებინა, გულგატეხილი ვარ, მე კვლავ დაზარალებული ვარ, ჩემთან დაკავშირებით სამართლიანობა არ დამდგარა. ამიტომაც, ვაპირებთ ვიბრძოლოთ ქართულ სასამართლოებში ჩვენი სიმართლის დასადგენად. მივიღე გადაწყვეტილება, თუკი ქართულ სასამართლოში ჩემი ოჯახი სიმართლეს ვერ დაადგენს, საქმე გადაინაცვლებს ევროსასამართლოში.

ყველამ უნდა იცოდეს, რომ აღნიშნული ქონება სადავოა და არ იყიდება! მე მინდა მადლობა ვუთხრა საზოგადოებას ჩემი ოჯახის მიმართ გამოსატული მხარდაჭერისა და თანადგომისათვის. მადლობა ვუთხრა ჟურნალისტებს საკითხის აქტიურად გაშუქებისათვის, ადვოკატს, რომელიც ღიად ამხელს ყველა იმ უკანონობას, ვისგანაც არ უნდა მომდინარეობდეს იგი, რომ დაიცვას ერთადერთი რამ - სამართლიანობა და კანონის უზენაესობა!

იმედი მაქვს, თბილისის სააპელაციო სასამართლო ობიექტურად შეაფასებს ჩემს სამართლიან მოთხოვნებს. მინდა ვთხოვო ყველა ადამიანს, ვიყოთ საერთო პრობლემების მიმართ მეტად სოლიდარული და მხარდამჭერი. მადლობა ყველას თანადგომისთვის! ჩვენ ერთად გავიმარჯვებთ!

31 იანვარს სააპელაციო სასამართლოში „პაპუაშვილის საქმეზე“ ბოლო სსლომე გაიყარება

2017 წლის 31 იანვარს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა მთავრობის სახით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე 2007-2016 წლებში, გიორგი პაპუაშვილთან მოქალაქე როლანდ ბლადაძის ჩამორთმეულ, სადავო ქონებაზე დამარულელებელ სხდომას გამართავს.

სასამართლო პროცესი ასხნა—განმარტებითი ეტაპიდან გაგრძელდება. პალატა იმსჯელებს შუამდგომლობების დაკმაყოფილებაზე, რომელიც როლანდ ბლადაძეს გააჩნდა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმეთა განხილვის დროს და არ დაკმაყოფილდა და შუამდგომლობებზე, რომელებიც წარმოიშვა თბილისის სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის დროს. „ახალგაზრდა ადვოკატების“ ხელმძღვანელმა, როლანდ ბლადაძის ადვოკატმა უკვე გააკეთა საჯარო განცხადება და საზოგადოებას 31 იანვრის სხდომაზე დასწრებისკენ მოუწოდა. ამასთან, სასამართლოს მიმართ გაკეთდა მიმართვა სხდომის დარბაზის შეცვლასთან დაკავშირებით, ვინაიდან მაღალი საჯარო ინტერესიდან გამომდინარე, სხდომას საზოგადოების წარმომადგენლები დაესწრებიან.

საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ საქმეს განიხილავს მერაბ ლომიძე (მომხსენებელი, თავმჯდომარე), თეა ძიმისტარიშვილი და ამირან ძაბუნიძე. 13 იანვრის სხდომაზე სასამართლომ არ დააკმაყოფილა როლანდ ბლადაძის შუამდგომლობა სასამართლოს შემადგენლობის უმრავლესობის — მერაბ ლომიძისა და თეა ძიმისტარაშვილის აცხადებას შესახებ, რომლებსაც როლანდ ბლადაძის საქმის განხილვასთან წარსულში მონაწილეობა აქვთ მიღებული. სასამართლომ ასევე არ დააკმაყოფილა მხარის მოთხოვნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროდან აუდიო—დოკუმენტის გამოთხოვაზე, სადაც გიორგი პაპუაშვილი

სამთავრობო კომისიაზე სადავო ბინის შესახებ მსჯელობს და აღნიშნავს, რომ მორალურ უხერხულობას არ გრძნობდა სადავო ქონებაში ცხოვრების გამო. სასამართლომ დააკმაყოფილა როლანდ ბლადაძის მხოლოდ ერთი შუამდგომლობა, რომლითაც საქმეს დაერთო ახალი მტკიცებულებები, რომელიც მხარემ გამოითხოვა 10—მდე საჯარო უწყებებიდან და ამტკიცებს, რომ მაშინდელი ხელისუფლების ადმინისტრაციულმა ორგანოებმა არ მოახდინეს როლანდ ბლადაძის საქმის სრულფასოვანი შესწავლა და რეაგირება, როდესაც როლანდ ბლადაძის ოჯახი პრეზიდენტს, მთავრობას, პარლამენტს, პროკურატურასა და იუსტიციის უმაღლესს საბჭოს ჩამორთმეული ქონების გასხვისების თავშეკავებისკენ მიმართავდნენ. აგრეთვე, ახალი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ პრეზიდენტის მხრიდან ქონების პრივატიზაცია კანონით დადგენილი წესების დარღვევით მოხდა.

როლანდ ბლადაძის მიერ გასაჩივრებულია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე დიანა ფარქოსაძის 2016 წლის 5 აგვისტოს გადაწყვეტილება, რომლითაც როლანდ ბლადაძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. 2016 წლის 24 ოქტომბერს, მოსამართლე დიანა ფარქოსაძის წინააღმდეგ „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ კორუფციული სამართალდარღვევის საჯარო დოკუმენტზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესს საბჭოში საჩივარი შეიტანეს.

როლანდ ბლადაძე მოითხოვს ბათილად იქნეს ცნობილი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 5 აგვისტოს გადაწყვეტილება საქმეზე: №3/474-16, დაკმაყოფილდეს სააპელაციო საჩივარი და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს პირველი ინსტანციის სასამართლოს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოში, საქმეზე პირველი სხდომა 2016 წლის 27 ოქტომბერს გაიმართა, სადაც როლანდ ბლა-



დაძის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა - საქმის განხილვას ჩამოშორდნენ მოსამართლეები: ნინო ქადაგიძე და მანანა ჩოხელი. გადაწყვეტილება მოსამართლეთა აცხადების შესახებ საქმის მომხსენებელმა მოსამართლე გიორგი გოგიაშვილმა მიიღო. სასამართლომ დასაბუთებულად მიიჩნია მტკიცება ნინო ქადაგიძისა და მანანა ჩოხელის მიკერძოების და საქმისადმი დაინტერესების შესახებ. მოსამართლეთა აცხადების შემდგომ, საქმე გადაეცა თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე ვალერიან ცერცვაძეს, რომელმაც სააპელაციო საჩივრის განმხილველი ახალი შემადგენლობა დანიშნა. პალატის ამჟამინდელ შემადგენლობაში, თავიდანვე მონაწილეობდა მოსამართლე მირანდა ერემაძე, თუმცა 13 იანვრის სხდომის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე, მოსამართლე შეიცვალა.

შეგახსენებთ, რომ როლანდ ბლადაძის სასარჩელო მოთხოვნებია: ბათილად იქნეს ცნობილი 2007 წლის 21 ივნისის ნასყიდობის ხელშეკრულება, როგორც კანონსაწინააღმდეგო და ამორალური და გიორგი პა-

პუაშვილი აღიარებულ იქნეს არაკეთილსინდისიერ შემძენად და მფლობელად, შესაბამისად, ბათილად იქნეს ცნობილი 2007 წლის 21 ივნისის ნასყიდობის ხელშეკრულება.

სწორედ წინა ხელისუფლების მოღვაწეობის დროს, მოქმედებების შედეგად იქნა მიღებული კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებები. როლანდ ბლადაძეს ქონება არარსებული დანაშაულის ჩადენის მოტივით ჩამოართვეს, სახელმწიფო საკუთრებაში აღრიცხეს, 2007 წლის ივნისში კი, ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის განკარგულებით, სიმბოლურ ფასად, 1000 ლარად, გიორგი პაპუაშვილს გადაეცა. როლანდ ბლადაძე აჭარის ა/რ პროკურატურამ უდანაშაულოდ სცნო, თუმცა საქართველოს მთავრობამ ამ დრომდე ვერ შეძლო მოქალაქის მიმართ სამართლიანობის აღდგენა, გიორგი პაპუაშვილის მიმართ ალტერნატიული ფართის შეთავაზება და ჩამორთმეული ქონების როლანდ ბლადაძისთვის დაბრუნება. თბილისის სააპელაციო სასამართლოში, საქმეზე სხდომა 12:00 საათზე დაიწყება.

საქმე, რომელმაც სასამართლოს ღირსება და წილი უნდა აღუდგინოს

13 იანვრის სასამართლო სხდომის დეტალები და გადაწყვეტილებები

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ მთავრობის სახით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან და 2007-2016 წლებში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილთან მოქალაქე როლანდ ბლადაძის ჩამორთმეულ, სადავო ქონებაზე 2017 წლის 13 იანვრის გამართულ სხდომაზე, საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის გადაწყვეტილებები მიიღო. როლანდ ბლადაძის სამი შუამდგომლობიდან სასამართლომ 1 შუამდგომლობა დააკმაყოფილა და საქმეზე დამასრულებელი სასამართლო სხდომის თარიღი გამოაცხადა — სააპელაციო პალატაში „პაპუაშვილის საქმის“ განხილვა 2017 წლის 31 იანვარს დასრულდება.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ საქმეზე მაღალი საჯარო ინტერესიდან გამომდინარე, საზოგადოებას ინფორმაციას მიანვდის 2017 წლის 13 იანვრის სხდომაზე განვითარებული მოვლენების შესახებ.

საქმის №1 - სასამართლო სხდომის შედეგების შესახებ 5 ნაწილი აქვს

2017 წლის 13 იანვრის მდგომარეობით, როლანდ ბლადაძის საქმის განმხილველი ახალი შემადგენლობა ჩამოყალიბდა შემდეგი მოსამართლეებით: მერაბ ლომიძე (მომხსენებელი, თავმჯდომარე), მირანდა ერემაძე და თეა ძიმისტარიშვილი. სასამართლო სხდომათა დარბაზში პროცესის მონაწილეობის მისაღებად გამოცხადდნენ მოსამართლეები: მერაბ ლომიძე, თეა ძიმისტარიშვილი და ამირან ძაბუნაძე. მოსამართლე ამირან ძაბუნაძემ დაიჭირა მოსამართლე მირანდა ერემაძის ადგილი. როლანდ ბლადაძის სხდომის დაწყებამდე პალატა მერაბ ლომიძის, მირანდა ერემაძისა და თეა ძიმისტარიშვილის წარმომადგენლობით განიხილავდა სხვა საქმეს. შესაბამისად, სხდომაზე დამსწრე საზოგადოებამ კარგად შეამჩნია, რომ მოსამართლე ამირან ძაბუნაძის გასწვრივ მოსამართლის აღმნიშვნელი აბრა კვლავ „მირანდა ერემაძის“ წარწერით გამოიყურებოდა. სხდომის გახსნის შემდგომ, მოსამართლე მერაბ ლომიძემ (სასამართლომ) გააკეთა განცხადება, რომ „მოსამართლე მირანდა ერემაძე ვერ ახერხებდა დასწრებას“, რაზეც როლანდ ბლადაძის ადვოკატ არჩილ კაიკაციშვილის კითხვაზე, საქმეს განიხილავდა თუ არა პალატის შემოთავაზებული წევრები ბოლომდე, სასამართლომ განაცხადა, რომ საქმეს ამირან ძაბუნაძე შემოუერთდებოდა. სწორედ ამ დიალოგის პროცესში, სხდომის მდივანმა უზრუნველყო ამირან ძაბუნაძის გასწვრივ არსებული მოსამართლის აღმნიშვნელი აბრის „მირანდა ერემაძის“ ამოღება, ახალი მოსამართლის აბრა კი, სხდომის დასრულებამდე, სასამართლოს არ წარმოუდგენია.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ საზოგადოებას აცნობებს, რომ სასამართლოს არ წარმოუდგენია განმარტება, მოახდინა თუ არა საქმიდან თვითაცილება მოსამართლე მირანდა ერემაძემ. სასამართლოს განმარტება ეხებოდა საკითხს, რომ მოსამართლე მირანდა ერემაძე ვერ

ახერხებდა დასწრებას. პალატის შემადგენლობაში მოსამართლის ცვლილებას სასამართლოს მხრიდან არ მისცემია კანონისმიერი დასაბუთება. 13 იანვრის მდგომარეობით, არ არსებობს არც საქმის თავმჯდომარე მოსამართლე მერაბ ლომიძის გადაწყვეტილება საქმეში მოსამართლე ამირან ძაბუნაძის მონაწილეობის თაობაზე. თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარემ როლანდ ბლადაძის საქმეზე პალატის შემადგენლობა განსაზღვრა მხოლოდ მერაბ ლომიძის, მირანდა ერემაძისა და თეა ძიმისტარიშვილის შემადგენლობით. სასამართლოს არ განუმარტავს მიზეზები, თუ რის გამო არ მონაწილეობდა მოსამართლე მირანდა ერემაძე საქმის განხილვაში, რაც არღვევს კანონით დადგენილ რეგულაციებს. სხდომაზე განვითარებული მოვლენებმა მკაფიო გახადა შემთხვევა, როდესაც მოსამართლე ამირან ძაბუნაძის ჩართვა საქმეში წარმოადგენდა სპონტანურ გადაწყვეტილებას და პალატის მანევრს, რადგანაც საქმის განმხილველ შემადგენლობაში მირანდა ერემაძის მონაწილეობა, ავტომატურად

ჩელი განსჯადობით უნდა განეხილა სწორედ თბილისის საქალაქო სასამართლოს.

მოსამართლე მირანდა ერემაძის 2013 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილებით საქმეზე: №3/3494-13 მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა როლანდ ბლადაძის სასარჩელო მოთხოვნები.

აღნიშნული გადაწყვეტილება საფუძვლად უდევს მოსამართლე დიანა ფარქოსაძის 2016 წლის 5 აგვისტოს ამჟამად გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას. მეტიც, ამ გადაწყვეტილებაში სიტყვასიტყვითაა გადმოტანილი მოსამართლე მირანდა ერემაძის მსჯელობა. (პალატამ ყურადღება უნდა მიაქციოს იმ გარემოებასაც, რომ მოსამართლე მირანდა ერემაძისა და მოსამართლე დიანა ფარქოსაძის სხდომის მდივანიც, ერთიდაიგივე პიროვნება სოფიო აბესაძეა, რომელიც მხარისთვის ცნობილი მხოლოდ გასაჩივრებული 5 აგვისტოს გადაწყვეტილების შემდგომ გახდა მკაფიოდ ცნობილი).

შექმნილი სინამდვილე მიუთითებს,



გამოიწვევდა პალატის შემადგენლობის საქმიდან აცილების ფაქტს.

საზოგადოებას განუვმარტავთ, რომ მოსამართლე მირანდა ერემაძემ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში საქმიანობის დროს, ორჯერ განიხილა როლანდ ბლადაძის საქმე.

პირველ შემთხვევაში, მოსამართლე მირანდა ერემაძემ განიხილა №3/1684-13 როლანდ ბლადაძის საქმის განსჯად სასამართლოში გადაგზავნის საკითხი. მოსამართლის 2013 წლის 21 მაისის განჩინებით, საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოდან დამისამართდა ბათუმის საქალაქო სასამართლოში. მოსამართლის აღნიშნული განჩინება უკანონო და დაუსაბუთებელი გამოდგა, ვინაიდან განსჯადობის საკითხმა გადაინაცვლა საქართველოს უზენაეს სასამართლოში, რომლის 2013 წლის 9 სექტემბრის განჩინებით, საქმეზე: №ბს-425-414 (გ-13), საქმის განმხილველ ინსტანციად დადგინდა თბილისის საქალაქო სასამართლო.

მოსამართლე მირანდა ერემაძემ როლანდ ბლადაძის საქმე განიხილა ხელმეორედ, როდესაც საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დადაგინა, რომ სარ-

ჩე მირანდა ერემაძის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საფუძვლად დაედო 2016 წლის 5 აგვისტოს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას და მოსამართლე დიანა ფარქოსაძემ გამოიყენა, როგორც მტკიცებულება, როდესაც მხარე შუამდგომლობით მისი საქმიდან ამოციცხვას ამჟამადაც მოითხოვს.

ამასთან, მოსამართლე მირანდა ერემაძის საქმიდან აცილების კიდევ ერთი უპირობო კანონისმიერი საფუძველი გახლდათ საქმის განხილვაში მონაწილეობის დაუშვებლობა ინსტანციური პრინციპით. კერძოდ, სსკ-ის 29-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, „მოსამართლე, რომელიც მონაწილეობდა საქმის პირველი ინსტანციით განხილვაში, ვერ მიიღებს მონაწილეობას ამ საქმის განხილვაში სააპელაციო ინსტანციის ან/და საკასაციო ინსტანციის სასამართლოში“.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ მირანდა ერემაძის კანონით და დადგენილი პროცედურების დაცვის გარეშე საქმიდან ჩამოშორების გადაწყვეტილებით, ისე, რომ სასამართლოს განმარტება არ გაუკეთებია და საქმეში არ არსებობს განჩინება მოსამართლის თვითაცილების შესახებ, საქმის განმხილველი პალატის ლეგიტიმაცია შეინარჩუნა.

საქმის №2 - როლანდ ბლადაძის შუამდგომლობა სასამართლოს შედეგების შესახებ

2017 წლის 13 იანვრის სხდომაზე, როლანდ ბლადაძის ადვოკატმა, არჩილ კაიკაციშვილმა სასამართლო შემადგენლობის უმრავლესობის აცხადების საკითხი ხელმეორედ დააყენა და აღნიშნა, რომ საქმის განხილვა არ უნდა განეხორციელებინა მოსამართლეებს, რომელთა მიმართაც, მიკერძოების მაღალი საფრთხე არსებობდა. არჩილ კაიკაციშვილმა მოითხოვა მერაბ ლომიძისა და თეა ძიმისტარიშვილის საქმიდან ჩამოშორება, შემდეგ გარემოებათა გამო:

მოსამართლე თეა ძიმისტარიშვილმა 2016 წლის 23 მაისის განჩინებით, საქმეზე: №3ბ-715-16 განიხილა როლანდ ბლადაძის სააპელაციო საჩივარი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ და თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმის შესახებ განჩინების ბათილად ცნობის თაობაზე.

მოსამართლე თეა ძიმისტარიშვილმა არ დააკმაყოფილა როლანდ ბლადაძის მოთხოვნა და ძალაში დატოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 28 მარტის განჩინება. მოსამართლემ, პირველი ინსტანციის სასამართლოს დასაბუთებასთან ერთად, დამატებით აღნიშნა შემდეგი:

ა) საქმეში წარმოდგენილი კანონიერ ძალაში შესული თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილების პირობებში (მოსამართლე: მირანდა ერემაძე) როლანდ ბლადაძე ვერ ასაბუთებდა მის მიერ აღძრულ დავასთან მიმართებაში მოთხოვნილი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობას.

ბ) მოსამართლემ აღნიშნა, რომ სასამართლო მართებულად მიიჩნევდა თბილისის საქალაქო სასამართლოს დასკვნას, რომ ისეთ პირობებში, როდესაც სადავო ქონების სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის საფუძველი (სასამართლოს გადაწყვეტილება) არ იყო გაუქმებული, სასარჩელო განაცხადის დაკმაყოფილება გამოიწვევდა სადავო ქონების სახელმწიფოს და არა როლანდ ბლადაძის სახელზე საკუთრების უფლების აღიარებას, ამ ქონებაზე კი, როლანდ ბლადაძის საკუთრების უფლების მოპოვება (აღიარება) წარმოადგენდა როლანდ ბლადაძის სამომავლო უფლებას. შესაბამისად, მოსამართლემ განმარტა, რომ ერთ სარჩელზე მიღებული სარჩელი უზრუნველყოფის ღონისძიება არ შეიძლება ქცეულიყო პირის იმ უფლების დაცვის მექანიზმად, რომელიც არ არის უშუალოდ ამ დავის სამართლებრივი შედეგი.

მხარემ სააპელაციო პალატას მიუთითა, რომ სააპელაციო საჩივარზე დანიშნული საქმის განმხილველი მოსამართლეს თეა ძიმისტარიშვილს როლანდ ბლადაძის საქმეში მონაწილეობით და მიღებული გადაწყვეტილებების შინაარსით, სადავო გარემოებების მიმართ წარმოდგენილი სამართლებრივი დასკვნებისა და მხარის

(დასასრული 4 გვ.)

საქმე, რომელმაც სასამართლოს ღირსება და წლოვა უნდა აღუდგინოს

13 იანვრის სასამართლო სხდომის დეტალები და გადაწყვეტილებები



(დასაწყისი 3 გვ.)

იურიდიული ინტერესის პერსპექტიულობასთან დაკავშირებით, უკვე გააჩნიათ მკვეთრად ჩამოყალიბებული, აღიარებული და გამოთქმული პოზიცია, რაც ქმნიდა წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის განხილვის პროცესში, მათი მიკერძოებისა და გადაწყვეტილების მიმართ პირდაპირ თუ არაპირდაპირ დაინტერესებას.

რაც შეეხება მოსამართლე მერაბ ლომიძეს, მხარეს აქვს დასაბუთებული, გონივრული და საფუძვლიანი ეჭვი, რომ მერაბ ლომიძე საქმეზე იქნება მიკერძოებული მოსამართლე, როდესაც ასეთი მიკერძოება უკვე სახეზეა განსახილველი საქმის პროცესში. მერაბ ლომიძემ, მას შემდეგ, რაც გაცნო 2016 წლის 27 ოქტომბრის განჩინებას წინა მოსამართლეების აცხადების შესახებ და პალატის მითითებას, რომელიც ეხებოდა მაღალი სტანდარტის სამართალწარმოების განხორციელების აუცილებლობას წარმოდგენილ დავაზე და მოცემულ ეტაპზე, საქმეში გაჩნდა მოსამართლის თვითაცილების რეგულაციის გამოყენების საფუძვლები, რაც გამომდინარეობს სსსკ-ის 32 მუხლის დათქმიდან, მერაბ ლომიძეს არ მოუხდენია საქმიდან თვითაცილების საკითხის განხილვაც და დაყენებაც. მერაბ ლომიძემ როლანდ ბლადაძის საქმეზე 2016 წლის 30 დეკემბერს მიღო განჩინება №33/1814—16, რომლითაც არ დააკმაყოფილა მხარის მოთხოვნა უკვე აცხადებული მოსამართლის — ნინო ქადაგიძის მიერ სადავო უძრავ ქონებაზე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების ბათილობის შესახებ, რა დროსაც, ახალი განცხადებით, აცხადებული მოსამართლის პირობებში, როლანდ ბლადაძე მოითხოვდა გადაწყვეტილებების ბათილად ცნობას და ახლად აღმოჩენილი გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლებას.

არჩილ კაიკაციშვილმა აღნიშნა, რომ მერაბ ლომიძეს წინა ხელისუფლების პირობებში, უკანონო და პოლიტიკურად მოტივირებული გადაწყვეტილებები აქვს მიღებული ბიძინა ივანიშვილისა და კახა კალაძის მიმართ განხორციელებულ ჯარიმებზე. შესაბამისად, არ არსებობს მოლოდინი, რომ „პაპუაშვილის საქმეზე“ შეძლოს პოლიტიკური ზეწოლის არიდება და მიიღოს სამართლიანი გადაწყვეტილებები. როგორც მოსამართლე მერაბ ლომიძემ განმარტა, ყველა გა-

დაწყვეტილებაზე პასუხისმგებელია, ხოლო მოსამართლე თეა ძიმისტარაშვილის პოზიციით, წარსულში რომელიმე გადაწყვეტილებაში გამოთქმული აზრი, არ ნიშნავს იმავე აზრზე დარჩენას, როდესაც სხვადასხვა გარემოებებში, შეხედულებების შეცვლა შეიძლება მოხდეს.

სააპელაციო პალატამ არ დააკმაყოფილა როლანდ ბლადაძის შუამდგომლობა საქმის განხილველი მოსამართლეების უმრავლესობის აცხადების შესახებ.

საქმის №3 — როლანდ ბლადაძის შუამდგომლობა საქმეზე ახალი გეგმარების წარმოდგენის და ღირსების შესახებ

სააპელაციო პალატამ დააკმაყოფილა როლანდ ბლადაძის შუამდგომლობას და საქმეს დაურთო მხარის სასარჩელო მოთხოვნებისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებები. კერძოდ, სადავო გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებები, იმ საკითხებზე, რომელიც ეხება, თუ ა) რა რეაგირება მოახდინა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ როლანდ ბლადაძის კანონიერი ინტერესების დამცველ მარინა ესელიძის 2007 წლის მაისის განცხადებაზე, რომლითაც სადავო ქონების გასხვისების შეჩერებას ეხებოდა? ბ) რა რეაგირება მოახდინეს საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტისა და იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეების მიმართეებზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ და საქართველოს პროკურატურამ და გ) რომელი ერთეულის საკუთრებაში არსებობდა ჩამორთმევამდე და ჩამორთმევის შემდეგ როლანდ ბლადაძის სახლი ქ. ბათუმში, ზ. გორგილაძის ქუჩა №37-ში, ბ. №8.

როლანდ ბლადაძემ ზემოაღნიშნული გარემოებების დადგენის და გამოკვლევის მიზნით, წერილობით მიმართა შესაბამისს უწყებებს და მიიღო ამომწურავი გამოსმაურება. სასამართლომ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი მტკიცებულებები შემხებლობაშია დავის საგანთან. გიორგი პაპუაშვილის ადვოკატისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენლის ერთხმად ნიშნულმდეგობის მიუხედავად, პალატამ როლანდ ბლადაძის ადვოკატის დასაბუთება გაიზიარა და საქმეს ახალი მტკიცებულებები დაურთო.

საქმის №4 — როლანდ ბლადაძის შუამდგომლობა სამთავრობო კომისიაზე გიორგი პაპუაშვილთან გასაუბრების აუდიო—ვიდეო გამოთხოვის შესახებ

როლანდ ბლადაძემ სასამართლოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა, სასამართლოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროდან გამოეთხოვა გიორგი პაპუაშვილის სამთავრობო კომისიაზე გასაუბრების ვიდეო—ოქმი (ვიდეო მასალა). არჩილ კაიკაციშვილმა 2016 წლის 2 მარტს, წერილით მიმართა საქართველოს იუსტიციის მინისტრს და მოითხოვა აღნიშნული გასაუბრების ვიდეო—მასალის მიღება მხოლოდ გიორგი პაპუაშვილის გასაუბრების ნაწილში. მხარემ აღნიშნა, რომ აღნიშნული ინფორმაცია მნიშვნელოვანია დავის საგნის და სასარჩელო მოთხოვნების მიმართულებით, ვინაიდან სწორედ 2016 წლის 29 თებერვლის სამთავრობო სხდომაზე აღნიშნავს გიორგი პაპუაშვილი, რომ “მაინცდამაინც დისკომფორტს არ გრძნობდა, როდესაც ჩამორთმეულ სახლში იწყებდა ცხოვრებას”. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, მხარის ინტერესია არ შეეზღუდოს სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობა, დისპოზიციურობის პრინციპის გამოყენება და სასამართლო ძალით მიღწეულ ყოფილიყო აღნიშნული მტკიცებულების გაცნობა, ვინაიდან მხარის სასარჩელო მოთხოვნებია გიორგი პაპუაშვილის არაკეთილსინდისიერ შემძენად და მფლობელად ცნობა და სადავო ნასყიდობის ხელშეკრულების ამორალურობა.

სასამართლოს განმარტებით, მართალია, როლანდ ბლადაძის შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა, მაგრამ პალატამ განმარტა, რომ თუკი საქმის განხილვის პროცესში სასამართლო მივა დასკვნამდე დასახელებული აუდიო—გასაუბრების ოქმის გამოთხოვის თაობაზე, სასამართლო სამინისტროდან თავად გამოითხოვს ინფორმაციას.

საქმის №5 — როლანდ ბლადაძის შუამდგომლობები სსსკ-ის ფოტო—გადაღების, Facebook LIVE-ისა და უძრავ ქონებაზე პესპერტივის დანიშვნის შესახებ

სასამართლო პალატა 2017 წლის 31 იანვრის სხდომაზე დაუბრუნდება როლანდ ბლადაძის შუამდგომლობების განხილვას, რომელიც ეხება სხდომის ფოტო—გადაღებას, სხდომის Facebook LIVE-სა და სადავო ქონებაზე ექსპერტიზის დანიშვნას. მხარის შუამდგომლობას, Facebook LIVE-ის შესახებ უკვე მოჰყვა ერთ—ერთი მოსამართლე თეა ძიმისტარაშვილის პროტესტი, რომელმაც არჩილ კაიკაციშვილს პროცესის სერიოზულობისკენ მოუწოდა. არჩილ კაიკაციშვილმა სასამართლოს მიმართა და განუცხადა, რომ ვიდრე შუამდგომლობის დასაბუთება პალატას არ ჰქონდა მოსმენილი, მოსამართლის რეაქცია სრულიად დაუმსახურებელი და დაუსაბუთებელი იყო. პალატის გადაწყვეტილებით, „პაპუაშვილის საქმეზე“ სხდომა 2017 წლის 31 იანვარს განახლდება და სასამართლო საქმის განხილვას დაასრულებს.

საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოში საქმეზე ჩანიშნულ პირველ სხდომაზე, 2016 წლის 27 ოქტომბერს, როლანდ ბლადაძის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა — საქმის განხილვას ჩამოშორდნენ მოსამართლეები: ნინო ქადაგიძე და მანანა ჩოხელი. გადაწყვეტილება მოსამართლეთა აცხადების შესახებ საქმის მომხსენებელმა მოსამართლე გიორგი გოგიაშვილმა მიიღო. სასამართლომ დასაბუთებულად მიიჩნია „ახალგაზრდა ადვოკატების“ ხელმძღვანელის, როლანდ ბლადაძის ადვოკატ არჩილ კაიკაციშვილის მტკიცება ნინო ქადაგიძისა და მანანა ჩოხელის მიკერძოების და საქმისადმი დაინტერესების შესახებ. მოსამართლეთა აცხადების შემდგომ, საქმე გადაეცა თბილისის სააპელაციო სასამართლოს თამჯდომარე ვალერიან ცერცვაძეს, რომელმაც სააპელაციო საჩივრის განმხილველი ახალი შემადგენლობა დანიშნა.

როლანდ ბლადაძის მიერ გასაჩივრებულია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე დიანა ფარქოსაძის 2016 წლის 5 აგვისტოს გადაწყვეტილება, რომლითაც როლანდ ბლადაძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. 2016 წლის 24 ოქტომბერს, მოსამართლე დიანა ფარქოსაძის წინააღმდეგ „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ კორუფციული სამართალდარღვევის საგარაუდო ფაქტზე საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში საჩივარი შეიტანეს.

როლანდ ბლადაძე მოითხოვს ბათილად იქნეს ცნობილი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 5 აგვისტოს გადაწყვეტილება საქმეზე: №3/474-16, დაკმაყოფილდეს სააპელაციო საჩივარი და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს პირველი ინსტანციის სასამართლოს.

შეგახსენებთ, რომ როლანდ ბლადაძის სასარჩელო მოთხოვნებია: ბათილად იქნეს ცნობილი 2007 წლის 21 ივნისის ნასყიდობის ხელშეკრულება, როგორც კანონსაწინააღმდეგო და ამორალური და გიორგი პაპუაშვილი აღიარებულ იქნეს არაკეთილსინდისიერ შემძენად და მფლობელად, შესაბამისად, ბათილად იქნეს ცნობილი 2007 წლის 21 ივნისის ნასყიდობის ხელშეკრულება.

სწორედ წინა ხელისუფლების მოღვაწეობის დროს, მოქმედებების შედეგად იქნა მიღებული კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებები. როლანდ ბლადაძეს ქონება არარსებული დანაშაულის ჩადენის მოტივით ჩამოართვეს, სახელმწიფო საკუთრებაში აღრიცხეს, 2007 წლის ივნისში კი, ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის განკარგულებით, სიმბოლურ ფასად, 1000 ლარად, გიორგი პაპუაშვილს გადაეცა. როლანდ ბლადაძე აჭარის ა/რ პროკურატურამ უდანაშაულოდ სცნო, თუმცა საქართველოს მთავრობამ ამ დრომდე ვერ შეძლო მოქალაქის მიმართ სამართლიანობის აღდგენა, გიორგი პაპუაშვილის მიმართ ალტერნატიული ფართის შეთავაზება და ჩამორთმეული ქონების როლანდ ბლადაძისთვის დაბრუნება.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ ნინო გვენეზაძეს, ლევან მურუსიძეს და პალერინ სერცვაძეს მიმართავს

ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატები“ სასამართლო ხელისუფლებას წერილით მიმართავს, მთავრობის სახით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე 2007-2016 წლებში, გიორგი პაპუაშვილთან მოქალაქე როლანდ ბლადაძის ჩამორთმეულ, სადავო ქონებაზე მალაღლი სტანდარტის მართმსაჯულება უზრუნველყოს. ორგანიზაციის ოფიციალური მიმართვის ადრესატი საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ნინო გვენეზაძე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი ლევან მურუსიძე და თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე ვალერიან ცერცვაძე არიან.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ განცხადებით, დღეს დადგა საკითხი, პასუხი გაეცეს ერთადერთ შეკითხვას: შესწევს თუ არა სასამართლო სისტემას ძალა როლანდ ბლადაძის საქმეზე მიიღოს პრინციპული და დამოუკიდებელი გადაწყვეტილებები, არის თუ არა მზად სასამართლო თავისი შელახული ღირსება აღადგინოს და საზოგადოება დაარწმუნოს, რომ „პაპუაშვილის საქმეზე“ პოლიტიკური გადაწყვეტილებებით არ ხელმძღვანელობს? „გაატაროთ ყველა საჭირო მოქმედება, რათა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ (რომელმაც, ასევე უნდა დაადგინოს, სამოქალაქო თუ ადმინისტრაციული წესით უნდა განიხილებოდეს სასარჩელო მოთხოვნები) სწორედ როლანდ ბლადაძის საქმეზე შეძლოს ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული მართლმსაჯულების უზრუნველყოფა“ - ნათქვამია სასამართლოს პირველი პირების მიმართ ოფიციალურ მიმართვაში.

„ჩვენ, მთელი სამოქალაქო საზოგადოება, განსაკუთრებული ყურადღებით ვაკვირდებით ქართულ სასამართლო სისტემაში მიმდინარე მოვლენებს, 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდგომ სასამართლო სისტემის საქმიანობას და წარმოუდგენლად მალაღლი მოლოდინი არსებობს, სასამართლო აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებისგან განცალკევებით, რეალურად იქნება დამოუკიდებელი, პოლიტიკური მოვლენებისგან განზე მდგომი და თავისუფალი ხელისუფლება. მინდა ისრულად გავიზიარო პათოსი, როდესაც „სასამართლოში მთავარი გამოწვევა ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული მართლმსაჯულების უზრუნველყოფა“. სასამართლოს ავტორიტეტს, ნდობას და საზოგადოების განწყობებს არამხოლოდ სწორი საკანონმდებლო რეფორმა ქმნის, არამედ ინდივიდუალური მოსამართლის როლის რეალიზება და კონკრეტუ-

ლი საქმეები, რომელთა სამართლიან და კანონთან შესაბამისს გადაწყვეტილებებს, სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის მიმართ, გააჩნია მთავარი და ერთ-ერთი განმსაზღვრელი პირობა.

სასამართლო სისტემისთვის და მთელი საზოგადოებისთვის ცნობილია როლანდ ბლადაძის რეზონანსული დავა, რომელის განხილვაც, ამჟამად თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში მიმდინარეობს. როლანდ ბლადაძის ჩამორთმეული, სადავო ქონების საქმე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილ თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილთან და სახელმწიფოსთან, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახით, უკვე დიდი ხანია გაცდა ეროვნული ინსტიტუციების მსჯელობას და საქმეზე არსებობს ევროპარლამენტის, ევროსაბჭოს, ვენეციის კომისიის გამომავალ რეზოლუციები, რომლებიც ქონებაჩამორთმეულის საქმეზე, სისტემური დანაშაულის არსებობაზე მსჯელობენ და აქვთ პოზიცია - „როდესაც რესტიტუცია შესაძლებელია, ეს უნდა მოხდეს დაუყოვნებლივ“.

მიუხედავად საქმეში არსებული მტკიცებულებებისა, სასარჩელო მოთხოვნების დასაბუთებისა და როლანდ ბლადაძის უდანაშაულობის დამტკიცებისა, მხარემ ვერ შეძლო კანონიერი გადაწყვეტილების მიღება თბილისის საქალაქო სასამართლოში. ვერ შეძლო თბილისის სააპელაციო სასამართლოში, როდესაც სადავო ქონებაზე ყადაღის უზრუნველყოფის გაუქმების გადაწყვეტილებები ისე მიიღეს მოსამართლეებმა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოში, ძირითად სარჩელთან დაკავშირებით, საქმისწარმოებაც არ იყო დაწყებული. საქმეზე სამართალწარმოება განხორციელდა არაერთი საპროცესო ნორმის და უფლების დარღვევით. ჩვენ ყველა დარღვევა დეტალურად შევაფასეთ. საქმის განხილვის და გადაწყვეტილების კანონიერების საკითხზე მხარე სააპელაციო პალატის მეშვეობით (ცდილობს ჭეშმარიტების დადგენას, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეების მიერ არსებული გადაცდომების შესახებ კი საჩივარი (2016 წლის 24 ოქტომბერს) წარმოდგენილია საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, მათ შორის როლანდ ბლადაძის საქმის განხილვები მოსამართლე დიანა ფარქოსაძის მიმართ, რომლის მიმართაც არსებობს კითხვები და მოთხოვნილია სავარაუდო კორუფციული სამართალდარღვევის სავარაუდო ფაქტის შესწავლა.

მოსამართლე დიანა ფარქოსაძის 2016 წლის 5 აგვისტოს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით, როლანდ ბლადაძის საქმეზე, სამართალმა ვერ იხიმა,



სამართლიანი სასამართლო არ შედგა. მოსარჩელე, როგორც კანონის არსიდან და სულიდან გამომდინარე, უნდა დაკმაყოფილებულიყო, მაგრამ ის დღეს ისევ დაზარალებულია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოში საქმეზე ჩანიშნულ პირველ სხდომაზე, 2016 წლის 27 ოქტომბერს, როლანდ ბლადაძის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა - საქმის განხილვას ჩამოშორდნენ მოსამართლეები: ნინო ქადაგიძე და მანანა ჩოხელი. სასამართლომ დასაბუთებულად მიიჩნია ჩვენი მტკიცება ნინო ქადაგიძისა და მანანა ჩოხელის მიკერძოების და საქმისადმი დაინტერესების შესახებ. მოსამართლეთა აცილების შემდგომ, საქმე გადაეცა თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეს, რომელსაც 2016 წლის 28 ოქტომბერს, წერილით მიემართეთ და ვთხოვეთ, როლანდ ბლადაძის სააპელაციო საჩივრის განხილვაზე დარღვეული მოვლენები, არ ტოვებს დარღვეულ უფლებებში აღდგენის რწმენას, არ ტოვებს მიუკერძოებელი სასამართლოს განცდას, არ გვაძლევს იმედს, რომ ჩვენს სიმართლეს სააპელაციო პალატის პირობებშიც დავამტკიცებთ.

მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური ნება სამართლიანი სასამართლოს არსებობისა ქვეყანაში არის, აბსოლუტურად გაუგებარია, თუ რატომ არ დგება სამართლიანი გადაწყვეტილებები. ნაგებული, მერწმუნეთ, რჩება მთელი ქართული საზოგადოება, ჩვენი ქვეყანა და სახელმწიფო, რომლის კანონიერების სახე გახლავთ ბატონი პაპუაშვილი, რომელიც, ფაქტობრივად, ქრთამის სახით მიღებულ და სხვისთვის უკანონოდ წართმეულ ბინაში, ცხოვრობს, ეს კი სასამართლო ეთიკის ნორმებისათვის, აბსოლუტურად დაუშვებელი და მიუღებელი რეალობაა. ამიტომაც, სასამართლოს დღეს აკისრია მალაღლი პასუხისმგებლობა - მიიღოს გაბედული, თამამი, მაგრამ კანონიერი გადაწყვეტილებები და აღმასრუ-

ლებელი ხელისუფლების მიერ სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლების მიმართ, სიმბოლურ ფასად, 1000 ლარად გადაცემულ ქონებების ფაქტზე თქვას, რომ ეს ფაქტი იყო მიუღებელი, არასწორი და გაუმართლებელი, რომელმაც ჩრდილი მიაყენა ქვეყანაში საკონსტიტუციო მართლმსაჯულებას.

თავისთავად, სასამართლოს ღირსების გადარჩენა სასამართლოსვე შეუძლია, რაც არ ნიშნავს გადაცემული ბინების ყოფილი თუ მოქმედი მოსამართლეებისთვის ჩამორთმევას. უწინარეს ყოფლისა, ეს ხაზს გაუსმევს სახელმწიფოს პასუხისმგებლობას და შექმნის უმნიშვნელოვანესს პრევენციას, პრეცედენტს, რომ არც ერთი ხელისუფლების პირობებში, მომავალში, სასამართლოსთან ურთიერთობის ფორმა, არ იყოს დამოკიდებული უძრავი თუ მოძრავი ქონებების ჩუქებებთან. გასათვალისწინებელია, რომ ამჟამად მხოლოდ სადავოა როლანდ ბლადაძის ჩამორთმეული სახლი. ამასთან, საქმის სამართლიანი გადაწყვეტის შემთხვევაში, გიორგი პაპუაშვილი სახელმწიფოს მხრიდან ავტომატურად მიიღებს ალტერნატიულ ფართს. აღდგება უფლებრივი წონასწორობა, ეს კი მხოლოდ მაღალი სტანდარტის სასამართლოს შეუძლია ამ ქვეყანაში.

სხვანაირად, ჩვენ ვერც ევროკავშირში შევალთ, ვერც რეალურ სამართლებრივ სახელმწიფოს ავაშენებთ და ვერც ცივილიზებულ საზოგადოებად ვერ ჩამოვყალიბდებით.

მოქალაქე როლანდ ბლადაძე ყველა შემთხვევაში მიიღებს საკუთრებაში ბინას, რომელიც მას კანონიერად ეკუთვნის, მაგრამ ყველა შემთხვევაში, მართლმსაჯულება დარჩება შეურაცხყოფილი და სახელგატყეხილი - ნათქვამია სასამართლო ხელისუფლების მიმართ გაგზავნილ წერილში, რომელსაც ხელს „ახალგაზრდა ადვოკატების“ ხელმძღვანელი, როლანდ ბლადაძის არჩილ კაიკაციშვილი აწერს.

ეკონომიკის სამინისტროს საჯარო მოხელეები მთავრობის და პრემიერის მიმართ პოლიტიკურ საგოგაო აბრეშულს



ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატები“ საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტს ასაჯაროვებს, რომლის მიხედვითაც, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილ თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილთან მოქალაქე როლანდ ბლადაძის ჩამორთმეულ, სადავო ქონებაზე, სახელმწიფოს მონაწილეობით, მორიგების აქტი უნდა გაფორმებულიყო, თუმცა სამინისტროს საჯარო მოხელეების მოქმედებით, მთავრობის განკარგულების პროექტი შეგნებულად არ განხორციელდა.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ ხელმძღვანელის, როლანდ ბლადაძის ადვოკატის, არჩილ კაიკაციშვილის განცხადებით, დღეს ყველა კითხვა მოხსნილია, რომელიც ღიად მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ მთავრობის განკარგულების პროექტის შეუსრულებლობით სამინისტროს იურიდიულმა დეპარტამენტმა შეასრულა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დაკვეთა, დაიცვა გიორგი პაპუაშვილის ინტერესები, არ შეასრულა პრემიერის მითითებები და არ უზრუნველყო როლანდ ბლადაძის საქმეზე სამართლიანობის აღდგენა. არჩილ კაიკაციშვილის განცხადებით, ამ პროცესში აქტიურ მონაწილეობას იღებდა სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის ან უკვე ყოფილი უფროსი, ოთარ იაშვლაშვილი, დეპარტამენტის უფროსის მოადგილე მირიან გამეზარდაშვილი და სასამართლოებთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსი სოფიო ახალაძე-უ-

ლორდავა. მათ სატრატეგიას საქმეზე ახმოვანებდა სამინისტროს იურისტი სვიმონ ფირცხალაიშვილი, რომლის ყველა გამოსვლა საერთო სასამართლოებში, სისტემური დანაშაულებების გამოხატულებით, ამ პროცესში აქტიურ მონაწილეობას იღებდა სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის ან უკვე ყოფილი უფროსი, ოთარ იაშვლაშვილი, დეპარტამენტის უფროსის მოადგილე მირიან გამეზარდაშვილი და სასამართლოებთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსი სოფიო ახალაძე-უ-

ლორდავა. მათ სატრატეგიას საქმეზე ახმოვანებდა სამინისტროს იურისტი სვიმონ ფირცხალაიშვილი, რომლის ყველა გამოსვლა საერთო სასამართლოებში, სისტემური დანაშაულებების გამოხატულებით, ამ პროცესში აქტიურ მონაწილეობას იღებდა სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის ან უკვე ყოფილი უფროსი, ოთარ იაშვლაშვილი, დეპარტამენტის უფროსის მოადგილე მირიან გამეზარდაშვილი და სასამართლოებთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსი სოფიო ახალაძე-უ-

„ახალგაზრდა ადვოკატების“ განცხადებით, როლანდ ბლადაძის საქმეში საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტი 2016 წლის მაისში გაჩნდა. აღნიშნულს წინ უძღოდა არასამთავრობო ორგანიზაციათა ფორმატში, არჩილ კაიკაციშვილის შეხვედრა საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილთან და საკითხის დასმა. პრემიერის დავალებით, არჩილ კაიკაციშვილის შეხვედრა ეკონომიკის ყოფილ მინისტრ დიმიტრი ქუმსიშვილთან, რომელმაც ვერ შეძლო ქონებაჩამორთმეულის საქმეზე რეალური გადაწყვეტილებების მიღება. წარმოდგენილი პროექტით, სახელმწიფო აღიარებს როლანდ ბლადაძის მიმართ ქონების ჩამორთმევის ფაქტს და იღებს პასუხისმგებლობას, როლანდ ბლადაძეს სიმბოლურ ფასად - 1 ლარად დაუბრუნოს ჩამორთმეული ქონება. სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, რომ გიორგი პაპუაშვილს შესთავაზოს ალტერნატიული ფართი, ხოლო როლანდ ბლადაძე უარს ამბობს სახელმწიფოსთან და გიორგი პაპუაშვილთან სამომავლო დავაზე, მათ შორის ევროსასამართლოში. არჩილ კაიკაციშვილის განცხადებით, სამინისტროს პასუხისმგებელმა საჯარო მოხელეებმა შეგნებულად შეაფერხეს მორიგების პროცესი, არ შეასრულეს პრემიერის მითითებები, რაც ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ადგილი აქვს პოლიტიკურ საბოტაჟს, სახელმწიფოს სახელით, როლანდ ბლადაძის უფლებების განმეორებით, უხეშ დარღვევას და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ და გიორგი პაპუაშვილის ინტერესების ლობირებას და დაცვას. აღნიშნულზე, ორგანიზაცია თავიდანვე აკეთებდა მითითებას და „ახალგაზრდა ადვოკატების“ პირველი განცხადებაც 2016 წლის თებერვალში გავრცელდა, როდესაც აღინიშნა, რომ როლანდ ბლადაძის საქმეზე

ეკონომიკის სამინისტროს პოზიციები უფრო ახლოს იდგა გიორგი პაპუაშვილის ინტერესებთან, ვიდრე მთავრობის სამართლიანობის აღდგენის პროცესთან.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილს მიმართავს, დროულად დაინტერესდეს, თუ რა ხდება საქართველოს ეკონომიკის სამინისტროში, რატომ სდუმს ამჟამინდელი მინისტრი და იურიდიული დეპარტამენტის ახალი უფროსიც საქმეზე, რატომ არ ხდება მთავრობის განკარგულების პროექტის იმპლემენტაცია, რატომ ახალისებს მთავრობა შერჩევით მართლმსაჯულებას როლანდ ბლადაძის საქმეზე და დადგეს ეკონომიკის სამინისტროს შესაბამისი საჯარო პირების პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებიც წლების განმავლობაში მუშაობენ ეკონომიკის სამინისტროში. სამინისტრომ 2007 წელს, სწორედ მირიან გამეზარდაშვილის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით, სიმბოლურ ფასად - 1000 ლარად გადასცა უძრავი ქონებები საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებს, მათ შორის როლანდ ბლადაძის ჩამორთმეული ბინა გიორგი პაპუაშვილს. სწორედ სოფიო ახალაძე-გულორდავა მოამზადა სასამართლოში წარსადგენი სამინისტროს იურიდიული პოზიცია, რომელიც ეწინააღმდეგება მთავრობის სამართლიანობის არდგენის დეკლარირებულ პრინციპებს. სწორედ ოთარ იაშვლაშვილმა არ მოახდინა მთავრობის განკარგულების პროექტის იმპლემენტაცია, ყოველივე ეს კი, ტოვებს ღია შთაბეჭდილებას, რომ აღნიშნული საჯარო მოხელეები მოქმედებენ ადამიანის უფლებებისა და სახელმწიფოებრივი ინტერესების წინააღმდეგ - აღდგეს სამართლიანობა როლანდ ბლადაძის წინაშე.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ პროკურორისგან მოსამართლე დიანა ფარქოსას საპირაულო კორუფციული სამართალდაცვის შესავლას მოითხოვენ

ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატები“ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილ თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილთან და სახელმწიფოს სახით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან მოქალაქე როლანდ ბლადაძის ჩამორთმეული, სადავო ქონების საკითხზე თბილისის საკლავო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის, დიანა ფარქოსაძის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შესწავლის შედეგებს აქვეყნებს და მოსამართლეს მიმართავს, საზოგადოებისთვის განმარტებები გააკეთოს ამჟამინდელი საცხოვრებელი ადგილის თაობაზე, რომელიც კითხვებს აჩენს.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ ხელმძღვანელის, არჩილ კაიკაციშვილის განცხადებით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან მიღებული 2016 წლის 11 აგვისტოს წერილის თანახმად, მოსამართლე დიანა ფარქოსაძის მიმართ არ გაიცემა საცხოვრებელი ბინის დაქირავებისთვის თანხა. მოსამართლის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის თანახმად, დიანა ფარქოსაძე რეგისტრირებულია საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ქორეთში. შესაბამისად, გაურკვეველია, თუ რატომ არ არის ქონებრივი მდგომარეობის შესახებ დეკლარაციაში მოსამართლის ამჟამინდელი საცხოვრებელი ფართის თაობაზე მითითება. ასეთი მითითება აუცილებელია, როდესაც მოსამართლე არ სარგებლობს სახელმწიფოსგან საცხოვრებელი ბინის დაქირავების უზრუნველყოფით.

ორგანიზაცია ყურადღებას მიაქცევს იმ ფაქტს, რომ მოსამართლე დიანა ფარქოსაძის 2016 წლის ქონებრივი დეკლარაციაში აღნიშნულია 54,20 კვ.მ. ფართის საცხოვრებელი ბინა თბილისში, გრ. რობაქიძის გამზირზე, რომელიც რიცხვითაა მოსამართლის დის, ხათუნა ფარქოსაძის სახელზე. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ამონაწერის თანახმად,

უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება გაფორმებულია 2016 წლის 20 თებერვალს. უძრავი ქონება იპოთეკით დატვირთულია ს.ს. „საქართველოს ბანკის“ მხრიდან. უძრავი ნივთის სარეგისტრაციო წარმდგენ მხარედ დაფიქსირებულია თამარ ლონდარიძე შპს „რეესტრი“-ის სახით. აღნიშნული კომპანია 2014 წლის იანვრიდან საქმიანობს და მისი 100%-იანი წილის მფლობელი და დამფუძნებელია „საქართველოს ბანკების ასოციაცია“. კომპანიის მოქმედი დირექტორიც „საქართველოს ბანკების ასოციაციის“ ოფიციალურ გვერდზე მითითებული პროექტების მენეჯერია. „საქართველოს ბანკების ასოციაცია“ ეფუძნება, მათ შორის საკონსტიტუციო, საერთო და საარბიტრაჟო სასამართლოებში ბანკების ინტერესების დაცვას. ასოციაცია და მისი წარმომადგენლები აქტიურად თანამშრომლობენ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთან და სასამართლოს მოქმედ თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილთან. ცნობისთვის: იპოთეკური კრედიტის ღირებულება შეადგენს: 40000,00 დოლარს.

მოსამართლე დიანა ფარქოსაძის ქონებრივი მდგომარეობის თაობაზე დეკლარაციაში ხათუნა ფარქოსაძის საკუთრებაში რიცხული უძრავი ქონების შეძენის პერიოდი ემთხვევა პერიოდს, როდესაც მოსამართლე დიანა ფარქოსაძე განიხილავს როლანდ ბლადაძის ქონების ჩამორთმევის საქმეს. 2016 წლის თებერვალი და მარტის თვე, როლანდ ბლადაძისთვის არსებითი მნიშვნელობის გადაწყვეტილებებითაა საყურადღებო. კერძოდ, დიანა ფარქოსაძემ 2016 წლის 5 თებერვლის თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებით, არ დააკმაყოფილა გიორგი პაპუაშვილის საჩივარი 2015 წლის 22 დეკემბრის განჩინების გაუქმების თაობაზე ყადაღის უზრუნველყოფის შესახებ და საჩივარი საქმის მასალებთან ერთად, გადაგზავნილ იქნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაცი-



ულ საქმეთა პალატაში, ხოლო 2016 წლის 18 აპრილს, მოსამართლე დიანა ფარქოსაძემ როლანდ ბლადაძის განმეორებითი მოთხოვნა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების თაობაზე, არ დააკმაყოფილა და გიორგი პაპუაშვილის სასარგებლო გადაწყვეტილება მიიღო. ორგანიზაცია პატივს სცემს მესაკუთრის უფლებებს და ხელმძღვანელობს საჯარო რეესტრის ამონაწერი აღნიშნული უტყუარობის პრინციპით, თუმცა იმავდროულად ხელმძღვანელობს როლანდ ბლადაძის საქმის განმხილველი მოსამართლის მიმართ მაღალი საჯარო ინტერესით და საზოგადოების უფლებით, ფლობდეს ინფორმაციას და თავად აკეთებდეს ანალიზს.

ორგანიზაცია ყურადღებას მიაპყრობს მოსამართლე დიანა ფარქოსაძის შრომითი ანაზღაურებისა და ფინანსური შემოსავლების საკითხს. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ინფორმაციით, დიანა ფარქოსაძის თანამდებობრივი სარგო განისაზღვრება 4000 ლარით. მოსამართლე დეპუტატის თანამდებობრივ სარგოზე დანამატს 700 ლარის ოდენობით. ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მი-

ხედვით, მოსამართლის 2013 წელს მიღებული შემოსავალი შეადგენს 13,650 ლარს, 2014 წელს — 28,120 ლარს, ხოლო 2015 წელს — 58,453,75 ლარს. ჯერ—ჯერობით, გამოქვეყნებული და ხელმისაწვდომი არ არის მოსამართლის 2016 წლის შემოსავლების თაობაზე ინფორმაცია. დეკლარაციის მიხედვით, ცნობილია მხოლოდ ის გარემოება, რომ მოსამართლემ 2015 წლის მარტში სესხის სახით 8000.00 ლარი მიიღო „რესპუბლიკა“ ბანკიდან და აღნიშნული სესხის ხელშეკრულების დაფარვის ვადად მითითებულია 2018 წლის მარტი.

ორგანიზაციამ საქართველოს მთავარ პროკურატურაში, მოსამართლე დიანა ფარქოსაძის მიმართ, საჯაროდ კორუფციული სამართალდარღვევის ფაქტზე, განცხადება 2017 წლის იანვარში შეიტანეს და საქმის შესწავლა მოითხოვეს. ცნობისთვის: „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ მოსამართლის საჯაროდ კორუფციული სამართალდარღვევის ფაქტზე საჩივარი 2016 წლის 24 ოქტომბერს იუსტიციის უმაღლეს საბჭოშიც შეიტანეს, თუმცა საბჭოს საქმეზე მოკვლევა ამ დრომდე არ დაუწყია.

მოსამართლე გიორგი გოგიაშვილის გახელული ნაბიჯი როგორ დაიშალა საქმეზე დანიშნული განმხილველი პირველი პალატა

თბილისის სააპელაციო სასამართლოში, სახელმწიფოს სახით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან და საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილ თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილთან მოქალაქე როლანდ ბლადაძის ჩამორთმეულ, სადავო ქონებაზე საქმეს პირველას დანიშნული განმხილველი პალატა ჩამოშორდა. 2016 წლის 27 ოქტომბრის საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოში დანიშნული სხდომა მწვავე დისკუსიის ფონზე, როლანდ ბლადაძის ადვოკატის, არჩილ კაიკაციშვილის შუამდგომლობის საფუძველზე დაიწყო, რომელმაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 29-ე, 31-ე და 34-ე მუხლების საფუძველზე, კოლეგიური სასამართლოს უმრავლესობის აცილება მოითხოვა. როგორც ცნობილია, საქმეს პალატა სამი მოსამართლის შემადგენლობით განიხილავდა. კერძოდ, გიორგი გოგიაშვილი (თავმჯდომარე), ნინო ქადაგიძე და მანანა ჩოხელი.

არჩილ კაიკაციშვილმა სასამართლო პალატას მიმართა და აღნიშნა, რომ სასამართლოს პასუხისმგებლობა უნდა აეღო როლანდ ბლადაძის ჩამორთმეული ქონების განხილვის განხილვის მაღალი სტანდარტისთვის. მისი თქმით, როდესაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე ვალერი ცერცვაძე უშუალოდ მონაწილეობას იღებდა როლანდ ბლადაძის ქონების ჩამორთმევაში, მხარეს არ გააჩნია მინიმალური სტანდარტიც კი, წარმოდგენილი კოლეგიის მიმართ ნდობა ჩამოყალიბებულიყო. არჩილ კაიკაციშვილმა მოსამართლეებს საქართველოს პროკურატურის 2004 წლის 30 აგვისტოს მინდობილობის ასლი გადასცა, სადაც ვალერი ცერცვაძე როლანდ ბლადაძის ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსთვის გადაცემის თაობაზე წარმოებული სასამართლო პროცესებში ბრალდების განმხორციელებელი პირია. ამასთან, არჩილ კაიკაციშვილმა აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ გაურკვეველია, თუ რამდენად განსჯად პალატაშია წარმოდგენილი როლანდ ბლადაძის სააპელაციო საჩივარი, რადგანაც დასადგენია, თუ რომელი განსჯადი კოლეგიის განსახილველია საქმე - სამოქალაქო თუ ადმინისტრაციული სამართალწამოების წესით. შესაბამისად, არჩილ კაიკაციშვილმა აღნიშნა, რომ როდესაც მხარეს დამოუკიდებელი მართლმსაჯულება არ გააჩნია, კიდევ ეუფრო მეტად მწვავედ დგება საკითხი საქმის განმხილველი კონკრეტული მოსამართლეების პროფესიული პასუხისმგებლობის თაობაზე.

არჩილ კაიკაციშვილმა სასამართლოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა პალატის შემადგენლობის უმრავლესობის, კერძოდ, ორი მოსამართლის: ნინო ქადაგიძისა და მანანა ჩოხელის საქმიდან ჩამოცილების და პალატის აცილების თაობაზე. სასამართლოს წინაშე წარდგენი იქნა პირდაპირი სახის მტკიცებულებები, რომლებიც მიუთითებდნენ, რომ დასახელებულ მოსამართლეები ვერ განახორციელებდნენ მიუკერძოებელ მართლმსაჯულებას. არჩილ კაიკაციშვილმა სასამართლოს წარუდგინა ნინო ქადაგიძის მიერ საქართველოს უზენაეს სასამართლოში საქმიანობის დროს, 2005 წლის 24 ნოემბერს მიღებული განჩინება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა როლანდ ბლადაძის მოთხოვნა ქონების ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე. ამასთან, სასამართლოს წარედგინა ნინო ქადაგიძის 2016 წლის 23 მარტის განჩინება გიორგი პაპუაშვილის საჩივრის დაკმაყოფილების თაობაზე და სადავო ქონებაზე ყადაღის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების თაობაზე. სასამართლოს წარედგინა მანანა ჩოხელის მიერ 2014 წლის 19 მარტის განჩინება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა როლანდ ბლადაძის სასარჩე-



ლო მოთხოვნები ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობასთან დაკავშირებით, რომლითაც სადავო ქონება სახელმწიფომ გიორგი პაპუაშვილს სიმბოლურ ფასად გადასცა. არჩილ კაიკაციშვილმა წარდგენილ მტკიცებულებებთან დაკავშირებით ვრცელი სამართლებრივი დასაბუთება წარმოადგინა და განაცხადა, რომ ნინო ქადაგიძე და მანანა ჩოხელი პირადად, პირდაპირ და არაპირდაპირ საქმის შედეგით დაინტერესებული პირები იყვნენ და არსებობდა უზუსტესი გარემოებები, რომლებიც ეჭვს იწვევდნენ აღნიშნული მოსამართლეების მიუკერძოებლობაში.

სასამართლო პალატის აცილების საკითხი განხილულ იქნა სათათბირო ოთახში. საზოგადოებას მიღებული განჩინება საქმის განმხილველმა მოსამართლე გიორგი გოგიაშვილმა გააცნო. სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა არჩილ კაიკაციშვილის შუამდგომლობა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლის საფუძველზე, მოსამართლეები: ნინო ქადაგიძე და მანანა ჩოხელი საქმის განხილვას ჩამოშორდნენ. სასამართლომ საფუძვლიანად სცნო წარდგენილი მტკიცებულებები და მხარეს დაუდასტურა მოლოდინი, რომ საქმის განხილვაში დამოუკიდებელი მოსამართლეები უნდა იღებდნენ მონაწილეობას.

„სასამართლო აღნიშნავს, რომ მოსამართლის დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა წარმოადგენს მართლმსაჯულების სისტემის ფუნქციონირების უმთავრეს პრინციპს და შესაბამისად, მოსამართლის უზენაეს ვალდებულებას. მართლმსაჯულების წინაშე არსებული ამოცანების შესრულებისათვის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს ასევე, საზოგადოების ნდობა, ვინაიდან საზოგადოების ნდობა არის მოსამართლის ლეგიტიმურობის საფუძველი და მისი უფლებამოსილების წყარო.

მოსამართლის აცილების ინსტიტუტი ემსახურება სწორედ დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის პრინციპის განმტკიცებასა და სასამართლოს სისტემის მიმართ საზოგადოების ნდობის შენარჩუნებას.

სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპების მიხედვით, მოსამართლემ უნდა აიცილოს საქმე ისეთ შემთხვევებში, როდესაც მას არ შესწევს უნარი საქმე განიხი-

ლოს მიუკერძოებლად ან როდესაც გონიერ დამკვირვებელს შეიძლება მოეჩვენოს, რომ მოსამართლეს არ შესწევს საქმის მიუკერძოებლად განხილვის უნარი.

სასამართლოს მიერ საქმის მიუკერძოებლად განხილვის პრინციპი და შესაბამისად, გარკვეული წინაპირობების არსებობისას საქმის აცილების ვალდებულება წარმოადგენს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილით გარანტირებული სამართლიანი სასამართლო უფლების შემადგენელ ელემენტსაც.

სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმის განხილვისას მოსამართლის აცილების წინაპირობას წარმოადგენს მიუკერძოებლობის არარსებობა, მიუკერძოებლობის არარსებობის საფრთხე ან მხარის ეჭვები მოსამართლის მიკერძოების თაობაზე. ანუ თუ არსებობს ნებისმიერი ლეგიტიმური საფუძველი, ამ საფუძვლის არსებობის საფრთხეები ან მხარის ეჭვი მოსამართლის მიუკერძოებლობასთან მიმართებით, მოსამართლე აცილებულ უნდა იქნეს საქმის განხილვისაგან.

მიუკერძოებლობა, როგორც წესი, ნიშნავს საქმისადმი წინასწარ დაინტერესებულსა და ტენდენციურობის გამორიცხვას და იგი ფასდება სუბიექტური და ობიექტური ტესტის მიხედვით.

სუბიექტური ტესტით შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს კონკრეტული მოსამართლის პიროვნულ ქცევასა და მრწამსს, ანუ რამდენად აქვს მოსამართლეს პირადი დაინტერესება და მიკერძოება საქმის მიმართ.

სუბიექტური ტესტისაგან განსხვავებით, ობიექტური ტესტი აწესებს დამატებით გარანტიებს და აცილების წინაპირობებს განმარტავს უფრო ფართოდ.

ობიექტური ტესტით შეფასებისას უნდა გაირკვეს რამდენად ქმნის სასამართლო და მისი შემადგენლობა საკმარის გარანტიას იმისათვის, რომ გამორიცხოს ნებისმიერი ლეგიტიმური ეჭვი მის მიკერძოებასთან მიმართებით. ობიექტურ ტესტთან დაკავშირებით აუცილებელია გაირკვეს, მოსამართლის ქცევის მიუხედავად რამდენად აქვს ადგილი ფაქტებს, რომლებმაც შესაძლებელია წარმოშვას ეჭვები მოსამართლის მიუკერძოებლობასთან მიმართებით.

იმის შეფასებისას არსებობს თუ არა მოსამართლის მიუკერძოებლობის შიშისათვის ლეგიტიმური საფუძველი, მნიშვნელოვანია იმ პირობის შეხედულება, რომელსაც საკითხი ეხება, თუმცა ეს ყოველთვის არაა გადამწყვეტი.

სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიერ მოსამართლის მიუკერძოებლობა განმარტებულია, როგორც „მოსამართლის მიერ წინასწარ შექმნილი აზრის არ ქონა“, კონკრეტული საქმის განხილვისას ყურადღება უნდა მიექცეს იმის განსაზღვრას, რამდენად არსებობს მოსამართლის მხრიდან საკმაო გარანტიები, რომ გამოირიცხოს ნებისმიერი კანონიერი ეჭვი ამ კუთხით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო მიუთითებს, რომ მიუკერძოებლობის შეფასებისას ყურადღება ექცევა თვითმოვლენათა გარეგნულად გამოჩენის საზოგადოების მიერ მისი აღქმის ფორმაც. მოსამართლე საქმის განხილვისას არა მხოლოდ უნდა იყოს მიუკერძოებელი, არამედ, გონიერი დამკვირვებლის თვალშიც უნდა აღიქმებოდეს ასეთად. შესაბამისად ვინაიდან მართლმსაჯულების სისტემის მიმართ საზოგადოების ნდობის განმარტება წარმოადგენს მართლმსაჯულების ლეგიტიმურობის გარანტიას, ნებისმიერი წინააღობა, რომელიც საფრთხეს უქმნის ამ რწმენას უნდა იქნეს გამორიცხული და ნებისმიერი მოსამართლე, რომელთან მიმართებითაც ვერ იქნება მიუკერძოებლობის აღქმა უზრუნველყოფილი, აცილებულ უნდა იქნეს საქმის განხილვისაგან.

სასამართლო აღნიშნავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს სასამართლო პალატის მიერ საქმის დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად განხილვაში ეჭვის შეტანის საფუძველები, მხარის აღქმაში სასამართლოს ყველა კანონიერი და დასაბუთებული ქმედება მაინც გამოიწვევს ეჭვს. შესაბამისად, ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც მიღებული იქნება სასამართლოს მოცემული პალატის მიერ მხარის გადასახედიდან ვერ იქნება აღქმული, როგორც დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი მართლმსაჯულების შედეგი. სწორედ აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო პალატა მიზანშეწონილად თვლის, რომ რ. ბლადაძის შუამდგომლობა დაკმაყოფილებულ იქნას - ნათქვამია განჩინებაში.

ბრძოლა ღირსებისთვის და დაბრუნებისთვის



უმჯობესია, გიორგი პაპუაშვილმა განმარტებები მის მიმართ პროკურატურაში მიმდინარე გამოძიებაზე გააკეთოს

„ახალგაზრდა ადვოკატები“ საქართველოს მთავარ პროკურატურას მოუწოდებს, გიორგი პაპუაშვილის მიმართ, 2013 წლის 5 ივლისს დაწყებული გამოძიება დააჩქაროს და კანონის წინაშე თანასწორუფლებიანობის პრინციპების მაღალი სტანდარტით, საზოგადოებამ მიიღოს ინფორმაცია სისხლის სამართლის საქმეზე მიმდინარე გამოძიების თაობაზე, რომელიც გიორგი პაპუაშვილის მხრიდან თაღლითური გზით, ქალაქ ბათუმში, კერძო საკუთრების მიტაცებას ეხება.

საქართველოს მთავარი პროკურატურის 2015 წლის 11 თებერვლის წერილი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საგამოძიებო ნაწილში, გიორგი პაპუაშვილის ქმედების მიმართ, მიმდინარეობს გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც გულისხმობს სისხლის სამართლის საქმეს თაღლითობის ნიშნებით. საქმე ეხება აჭარაში, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, ქონება-მართლმფლობელ როლანდ ბლადაძის შემთხვევას, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის განკარგულებით, საცხოვრებელი სახლი ჩამოერთვა და სიმბოლურ ფასად, 1000 ლარად საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს, გიორგი პაპუაშვილს გადაეცა, ხოლო გიორგი პაპუაშვილმა, საკუთრივ, 2010 წელს, როლანდ ბლადაძის მფლობელობაში არსებული ავტოფარეხი მიისაკუთრა, რომელიც არც ჩამოსართმევი ქონების ნუსხაში იყო მოქცეული და არც 2004 წლის 14 სექტემბრის სასამართლო გადაწყვეტილებით არის ჩამორთმეული.

ორგანიზაცია საზოგადოებისთვის ცნობილ ხდის გიორგი პაპუაშვილის მხრიდან როლანდ ბლადაძის მიმართ დაშვებული კიდევ ერთი კანონმდებლობით დაშვებული ფაქტს. 2010 წლის მარტში განხორციელებული ქმედებით, გიორგი პაპუაშვილს საკუთრების უფლება წარმოეშვა როლანდ ბლადაძის მფლობელობაში არსებულ ავტოფარეხზე, რომლის გასხვავებაც, არც 2007 წლის სახელმწიფოსთან დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებით და არც სხვა იურიდიული დოკუმენტაციით, დადასტურებული არ იყო. საქმეში არსებული მასალებით მტკიცდება, რომ 2009 წლის 18 დეკემბერს გაიმართა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის საერთო კრება, რომელმაც დღის წესრიგით განიხილა ერთადერთი საკითხი - გიორგი პაპუაშვილისთვის დამხმარე ნაგებობების საკუთრებაში გადაცემის თაობაზე. საერთო კრების გადაწყვეტილებით, მომზადდა მიმართვა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ, რათა გიორგი პაპუაშვილის საკუთრებაში აღრიცხულიყო ბათუმში, ზ. გორგოლაძის ქუჩა №37-ში მდებარე დამხმარე ნაგებობა - სამეურნეო სათავსო და გარაჟი, 35,63 კვ.მ ფენობით. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა არ იყო უფლებამოსილი, განეხილა და მიეღო გადაწყვეტილება გიორგი პაპუაშვილისთვის ავტოფარეხის საკუთრებაში გადაცემის შესახებ. მეტიც, ავტოფარეხი არ წარმოადგენდა საერთო საკუთრებას. 2000 წლის 11 სექტემბრის ქ. ბათუმის მერიის ტექნიკური კომისიის ოქმის გადაწყვეტილებით, ავტოფარეხი გატარდა როლანდ ბლადა-

ძის მფლობელობაში. შესაბამისად, აღნიშნული დოკუმენტით, მხოლოდ როლანდ ბლადაძე ითვლებოდა მის მართლზომიერ მფლობელად. ამიტომაც, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა უფლებამოსილი არ იყო, განეხილა ავტოფარეხის გიორგი პაპუაშვილისთვის მიკუთვნების საკითხი, თუმცა დოკუმენტებით ჩანს, რომ აღნიშნული მოქმედებით, სახელმწიფომ როლანდ ბლადაძის მიმართ, მორიგი უკანონო ქმედება განახორციელა.

ორგანიზაცია ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზეც, რომ საქმეში არსებობს ამხანაგობის თავმჯდომარის ჩვენება. კერძოდ, მიუხედავად მისი განცხადებისა, რომ ავტოფარეხი როლანდ ბლადაძის საკუთრება იყო, იგი გიორგი პაპუაშვილის დაცვის უფროსმა მიიყვანა მაშინდელ გამგებელთან, სადაც გამზადებული დახვდა ოქმი ავტოფარეხის გიორგი პაპუაშვილისთვის გადაცემის შესახებ. ამხანაგობის თავმჯდომარეს, ზემოქმედების ქვეშ მოუხდა ოქმზე ხელის მოწერა და აღნიშნული ხელმოწერა დადასტურდა ნოტარიუსის მიერ. ამასთან, ირკვევა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული ბიუროს არქივში აღარ მოიპვება ავტოფარეხზე როლანდ ბლადაძის საკუთრების უფლებადამდგენი დოკუმენტები. ამჟამად გვხვდება მხოლოდ შემდეგი ჩანაწერი: „აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე, სამართლებრივ რეგისტრაციაში გატარდა ერას ქუჩა №37-ში მდებარე რ. ბლადაძის ავტოფარეხი, რომელიც საარქივო მასალებში არ ინახება“, რაც ცალკე დანაშაულის ნიშნებს ატარებს.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ შევნიშნავთ, რომ ქ. ბათუმში, 2012 წელს, ერას ქუჩა №37-ში განხორციელდა ავტოფარეხებისა და დამხმარე სათავსოების დემონტაჟი. მათ შორის მოექცა გიორგი პაპუაშვილის სახელზე გაფორმებული ავტოფარეხიც. როლანდ ბლადაძის კანონიერი ინტერესების დამცველებმა, 2013 წლის ივნისში, შეძლეს ბათუმის მერიის ზედამხედველობის სამსახურიდან ოფიციალური დოკუმენტის მიღება, რომლის მიხედვითაც დემონტირებული ავტოფარეხის სანაცვლოდ, გიორგი პაპუაშვილმა კომპენსაციის სახით მოითხოვა და მიიღო 3563 ლარი.

ცნობისთვის: „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ 2014 წლის ოქტომბერში, საზოგადოებას კვლევა წარუდგინეს, რომლის ისტორიაც, ფართო საზოგადოების წინაშე, პირველად გახდა ცნობილი. განხორციელებული მონიტორინგი გამოსცემს როლანდ ბლადაძის საქმეს, რომელიც იმ პირთა შორის აღმოჩნდა, ვისაც ქონება ნების სანაღმდეგოდ, 2004 წელს წაართვეს. საქმეზე, 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდგომ განხორციელებულმა ობიექტურმა გამოძიებამ დაადასტურა, რომ როლანდ ბლადაძის მიმართ, 2004 წლის აგვისტოში, სამსახურეობრივი მოვალეობის შეუსრულებლობის ბრალდებით, აღძრული სისხლის სამართლის საქმე და ქონების ჯერ უკანონოდ და დაუსაბუთებლად ცნობა, შემდეგ კი ჩამორთმევა, იყო უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი. ჩვენ, როლანდ ბლადაძის საქმეს ეროვნულ თუ საერთაშორისო დონეზე, აუცილებლად მივიყვანთ ბოლომდე!

Non-Profit Human Rights NGO Young Barristers არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ახალგაზრდა ადვოკატები“

ლორსბა
თავისუფლება
თანასწორობა

ახალგაზრდა ადვოკატები
YOUNG BARRISTERS

DIGNITY
LIBERTY
EQUALITY

მისამართი: თბილისი, ზურაბ ჭავჭავაძის ქ. №12

E-mail: pryongbarristers@yahoo.com, pryongbarristers@gmail.com; Tel: 2 95 35 18

გაზეთი მომზადდა ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატების“ სამართლის ჯგუფის მხრიდან და მიზნად ისახავს მოქალაქეთა ინფორმირების გაზრდას როლანდ ბლადაძის საქმესთან დაკავშირებით. ორგანიზაცია მზად არის, ითანამშრომლოს ყველა დინტერესებულ მხარესთან და გააცნოს საქმის მასალები. გაზეთი იბეჭდება ორგანიზაციის ფინანსური შესაძლებლობებით და გამოდის ერთჯერადად.
ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატების“ და იურიდიული ფირმა „კაკატიშვილი და ადვოკატების“ საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, გიორგი ზოიძე ტელ: 599 29 12 02

www.barristers.ge; www.facebook.com/ახალგაზრდა ადვოკატები

